



# ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის დეპარტამენტი



**პროფესორი ლევან ჩიკვატია**  
**დეპარტამენტის ხელმძღვანელი**

---



**ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ ავაგაპოვი**

---



**ასისტენტ-პროფესორი შადიშან სახვაძე**

---





# ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის დეპარტამენტი



*მარჯვნიდან მარცხნივ ბესიკ ქასრაშვილი ლაბორანტი, შადიმან სახვაძე ასისტენტ-პროფესორი, ლევან ჩიკვატია - პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ნიკოლოზ ავაზაშვილი - ასოცირებული პროფესორი.*

ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის დეპარტამენტი, ორთოპედიისა და სამხედრო სავაჭრო ქირურგიის კათედრის სახელწოდებით დაარსდა 1970 წელს. 1972-1991 წლებში კათედრის გამგე იყო გამოჩენილი მეცნიერი და კლინიცისტი, აკადემიკოსი ოთარ ლუდუშაური - თსსი-ს რექტორი 1972-1975 წლებში. 1992 წლიდან კათედრის გამგის მოვალეობას ასრულებდა პროფესორი ჯემალ გოგუაძე, რომელიც 1994 წელს კათედრის გამგედ იყო არჩეული. 2000-2001 წლებში კათედრის გამგის ფუნქციას დოცენტი ნათელა ქუქიშვილი ასრულებდა. 2001-2006 წლებში კათედრის გამგე იყო დოცენტი მარინა ლუდუშაური. 2006 წელს ტრავმატოლოგია და ორთოპედია, მიმართულებად შევიდა ქირურგიის დეპარტამენტში, ხოლო 2009 წელს გარდაიქმნა ცალკე დეპარტამენტად ახლანდელი სახელწოდებით. 2006-2019 წლებში ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა პროფესორი თორნიკე ნოზაძე. 2019 წლიდან დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პროფესორი ლევან ჩიკვატია.





## ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის დეპარტამენტი

დეპარტამენტის (კათედრის) მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევებია: კომპრესიულ-დისტრაქციული ოსტეოსინთეზის მეთოდის დანერგვა ტრავმატოლოგიასა და ორთოპედიაში, კორუნდული კერამიკის კლინიკურ-ექსპერიმენტული გამოცდა და დანერგვა კლინიკურ პრაქტიკაში, მსხვილი სახსრების ენდოპროთეზირება, ბავშვების ძვალ-სახსართა სისტემის თანდაყოლილი და შეძენილი დეფორმაციების მკურნალობა თანამედროვე მეთოდებით, ხერხემლის პათოლოგიების კონსერვატული და ქირურგიული მკურნალობა, მტევნის ქირურგია, მსხვილი სახსრების ენდოსკოპიური ქირურგია, ძვალ-სახსართა სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობა და რეკონსტრუქციული ორთოპედია. ბოლო წლებში დეპარტამენტში შემოღებულია გრძელი ლულოვანი ძვლების დიაფიზური მოტეხილობების მკურნალობის თანამედროვე მეთოდი - ინტრამედულური ოსტეოსინთეზი ბლოკირებადი ღეროებით.